სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №139

ქ.თბილისი 21 დეკემბერი, 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის თამარ მახარაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჯი ემ თი სასტუმროები (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გაყიდვების და მარკეტინგის განყოფილების დირექტორის ალექსანდრე ხაბალაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან, სემინარების ორგანიზების მომსახურების (CPV – 79951000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. ხელშეკრულების საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 8732 (რვა ათას შვიდას ოცდათორმეტი) ლარს.

3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში ლოჯისტიკის უფროსი ოფიცერი .

4.2. მიღება-ჩაბარების ხელმოწერასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს

მიმწოდებლის წარმომადგენლის ხელმოწერა

შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა

წარმოუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს 2016 წლის 23 დეკემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში", შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №4.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ) შემსყიდველთან შეუთანხმებლად, არანაირი ფორმით არ გადასცეს მესამე პირებს შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტები (ან მათი ნაწილი) და არ გამოიყენოს ისინი კომერციული ან სხვა მიზნებისათვის, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისა;

გ) გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება.

მუხლი 7. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის განახორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ლოჯისტიკის უფროსი ოფიცერი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, ამავე ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების შემოწმებას.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს კონტროლის ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. შემსყიდველის მიერ კონტროლის მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7.4. ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მიმწოდებლის წარმომადგენლის ხელმოწერა	შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ქვეკონტრაქტორები

10.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (ქვეკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). ქვეკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტენ შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მიმწოდებლის წარმომადგენლის ხელმოწერა

შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა

მუხლი 12. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 13. შეტყობინება

13.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

13.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 14. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 15. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „ჯი ემ თი" სასტუმროები (სასტუმრო ქორთიარდ მერიოტი)
მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №4
ტელეფონი: +995 577 40 07 06
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 842 333
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი" ბანკი მთაწმინდის ფილიალი
საბანკო კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
№GE25TB0700000000467401

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, 0193, მ. ალექსიძის ქ. №1
ტელეფონი: (+995 32) 2 200 220 (3515)
საიდენტიფიკაციო კოდი: №202330566
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
საბანკო კოდი: TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
№ GE24NB0330100200165022

GMT Hotels LLC
203842333
Tbilisi Marriott Hotel & Courtyard by Marriott Tbilisi
4 Freedom square, 0105 Tbilisi, Georgia
(Caucasus region)
მიმწოდებლის ხელმოწერა

შემსყიდველის ხელმოწერა

დანართი №1

მომსახურების აღწერა და ხარჯთაღრიცხვა

მომსახურების დასახელება	მონაწილეთა რაოდენობა	ერთი მონაწილის მომსახურების ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
ნახევარი დღის საკონფერენციო მომსახურება, რომელიც მოიცავს: • საკონფერენციო დარბაზი • კვებით მომსახურება - ლანჩი	150	48	7200
მატერიალურ ტექნიკური მხარდაჭერა: • სტატიკური მიკროფონი. • პროექტორი • პორტაბელური აუდიო სისტემა 2 უკაბელო მიკროფონით. • ეკრანი • სასმელი წყალი • სხვა აუცილებელი საკანცელარიო ინვენტარი ღონისძიების ორგანიზაციისთვის.			200
		დღგ.	1332
		ჯამი:	8732 ლარი

GMT Hotels LLC
203842333
Tbilisi Marriott Hotel & Courtyard by Marriott Tbilisi

შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერა